



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული



მ. ლორთქიფანიძე

ლორთქიფანიძე მარიამ დავითის ასული (28. VIII. 1922, თბილისი, – 8. I. 2018, იქვე), ისტორიკოსი. საქართველო. მეცნიერ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1993; წ.-კ. 1983), ისტორიის მეცნი. დოქტორი (1963), პროფესორი (1965), საქართველო. მეცნი. დამს. მოღვაწე (1976), საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982).

დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1943). 1947-იდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის მეცნიერ თანამშრომლად, 1948-იდან – თსუ-ში. 1972–97 იყო საქართველო. ისტ. კათედრის გამგე. იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველო. სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის, გლეხობისა და ქართ. ისტ. აზროვნების საკითხებს; საქართველო. ურთიერთობას სომხეთთან, ახლო აღმ. ქვეყნებთან; ეწეოდა ისტორიოგრაფიული ხასიათის მუშაობას; რუსულად თარგმნა

ქართ. საისტორიო მწერლობის ძეგლები („მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“). დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდაში. იგი აქტიურად იცავდა საქართველო. ისტორიას გამყალბებლებისგან. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილ. ისტორიის შესწავლაში. იყო თბილისის საპატიო მოქალაქე (1988). ლ-ს მიღებული აქვს ქართ. მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2009).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963; ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1966; რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966; ქართლი V ს. II ნახევარში, თბ., 1979; რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1989; აფხაზები და აფხაზეთი (ქართულად, რუსულად, ინგლისურად), თბ., 1990; საქართველოს ისტორია, მთ. რედ., თბ., 2006 (თანაავტ.); История Грузии XI – нач. XIII вв., Тб., 1974.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., მარიამ ლორთქიფანიძე, თბ., 2012.

რ. მეტრეველი
